აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU)

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი

დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 19 მარტის №17/01-08 ბრძანებით

განახლებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 20 ოქტომბრის 36/01-01 ბრძანებით

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის, ასევე, მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებსა და პროცედურებს. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის აკადმიური და მოწვეული პერსონალი შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც - პერსონალი.

1.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასება ხელს უწყობს მათი პროფესიონალიზმის განვითარებას, სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას.

1.3. შეფასება წარმოადგენს პრაქტიკულად გამოყენებადი ცოდნისა და უნარ-ჩვევების წონადობის ინტეგრაციას.

მუხლი 2. პერსონალის შეფასების მიზანი და მიმართულებები

2.1. პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნებია:

ა) აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული პრიორიტეტების ეფექტიანი აღსრულება;

ბ) უნივერსიტეტის საქმიანობაში წვლილის შესატანად პერსონალის მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა;

გ) ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და მათზე შესაბამისი რეაგირება;

დ) პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარება;

ე) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;

ვ) სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

ზ) უნივერსიტეტში სამუშაოთი კმაყოფილებისა და მოტივაციის ზრდა.

2.2. პერსონალის შეფასება დაფუძნებულია უნივერისტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკით დეკლარირებულ პრინციპებზე და უზრუნველყოფს სამართლიანობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის პრინციპების განუხრელად დაცვას.

2.3. აკადემიური პერსონალის შეფასება მოიცავს მათი სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასებას, ხოლო მოწვეული პერსონალი ფასდება მხოლოდ აკადემიური საქმიანობის მიმართულებით.

მუხლი 3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება

3.1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს შედეგების ანალიზსა და შეფასებას, ხოლო მათ საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

3.2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემით შესაძლებელია შეფასდეს როგორც პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, ასევე საქმიანობის ხარისხი.

3.3 შეფასება ხდება ყოველი აკადემიური წლის ბოლოს და დაფუძნებულია რაოდენობრივ და თვისებრივ ინდიკატორებზე.

3.4 პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები: სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების რაოდენობა და სამეცნიერო-კვლევითი შრომების პროდუქტიულობა.

3.4.1 **სამეცნიერო-კვლევთი შრომების რაოდენობა** - აღნიშნული ინდიკატორი გულისხმობს საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობას და მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- მონოგრაფიის მომზადება;
- კოლექტიური მონოგრაფიის მომზადება/მონაწილეობა;
- სახელმძღვანელოს მომზადება;
- სამეცნიერო შრომათა კრებულის მომზადება/მონაწილეობა;
- სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში;
- სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში:
- სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული საზღვარგარეთის ჟურნალში;
- სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომათა კრებულში;
- სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების მომზადება;
- სტატია ან თეზისები სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების მასალათა კრებულში;
- სასწავლო-მეთოდური ნაშრომის მომზადება;
- მოხსნება სამეცნიერო კონფერენციებზე და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში;
- ეროვნულ ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმში, სემინარში) მონაწილეობა;
- სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება (სამეცნიერო სემინარი, მრგვალი მაგიდა, სამეცნიერო- მეთოდური სემინარი, საჯარო ლექცია, ვორქშოფი, გამოფენა და ა.შ.);
- სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება (კონფერენცია, პროექტი);
- სარედაქტორო საქმიანობა (მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო

შრომათა კრებულის, სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა, სარედაქციო კოლეგიის წევრობა) და სხვა;

- სარეცენზიო საქმიანობა (სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო შრომათა კრებულის, სამეცნიერო ჟურნალის, სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
- სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა (სხვა უსდ-ში მიწვევის, ან ერთობლივი სადოქტორო ნაშრომის შემთხვევაში);
- სამეცნიერო საზოგადოების წევრობა;
- დაფინანსებულ სამეცნიერო პროექტში/პროექტებში მონაწილეობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა;

3.4.2 **სამეცნიერო-კვლევითი შრომების პროდუქტიულობა** - გულისხმობს ციტირების და ჰირშის (h) ინდექსებს, რომლის შესახებაც ინფორმაციას უნივერსიტეტი იღებს საბიბლიოთეკო კონსორციუმიდან, უნივერსიტეტის დაკვეთის საფუძველზე. აღნიშნული ინდიკატორი მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს:

- ციტირების რაოდენობა;
- ციტირება (google scholar) (g);
- ციტირება (web of science) (g);
- ციტირება (Scopus) (g);
- ციტირება (google scholar) (h);
- ციტირება (web of science) (h);
- ციტირება (Scopus) (h);

3.5 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ყოველწლიური შეფასება უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის გამოყენებით.

3.6 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თვითშეფასების ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური წლის ბოლოს წარედგინება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს.

3.7 სავალდებულოა აკადემიური პერსონალის მიერ თვითშეფასების ანგარიშში მითითებული საქმიანობის დადასტურება.

3.8 აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალურ ქულათა რაოდენობა.

3.9 აკადემიური პერსონალის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშს განიხილავს სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტი და შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული

შედეგების კვლევითი საქმიანობის წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და აკადემიური პერსონალის საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

ცხრილი N1

#	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	საქმიანობისთვის განკუთვნილი ქულა	პერსონალის მიერ დაგროვებული ქულა
1	სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების რაოდენობა	წონა - 40%	
1.1	სტატიების[1] დაბეჭდვა შემდეგი კატეგორიის ჟურნალებში: ტომსონ როიტერსის ბაზაში (Web of Science) ინდექსირებული ჟურანლები: იმპაქტ-ფაქტორის (IF – Impact Factor) და სამეცნიერო ციტირების ინდექსის (SCI – Science Citation Index) მაჩვენებლებით. ელსევიერის პუბლიკაციების ბაზასა და Scopus-ის პლატფორმაზე დაყრდნობით ინდექსირებული ჟურნალები: სიმაგოს ჟურნალების რეიტინგის (SJR – SCImago Journal Rank) ინდექსის მაჩვენებლით. სხვა მსგავს რეიტინგულ ბაზებში ინდექსირებული ჟურნალები. (გთხოვთ მიუთითეთ სტატიისა და ჟურნალის დასახელება, ჟურნალის სხვა დეტალები მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოქვეყნებულ სტატიას)	50 ქულა	
1.2	სტატიების დაბეჭდვა უნივერსიტეტის და საერთაშორისო ინდექსის მქონე სხვა ჟურნალებში (გთხოვთ მიუთითეთ სტატიისა და ჟურნალის დასახელება, ჟურნალის სხვა დეტალები მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოქვეყნებულ სტატიას)	15 ქულა	
1.3	სტატიების დაბეჭდვა სხვა რეფერირებად ჟურნალებში (გთხოვთ მიუთითეთ სტატიისა და ჟურნალის დასახელება, ჟურნალის სხვა დეტალები მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოქვეყნებულ სტატიას)	10 ქულა	

[1] სტატიის დუბლირების შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს ერთი და იმავე სტატიით კონფერენციაზე გამოსვლას და აღნიშნული სტატიის ჟურნალში დაბეჭდვას, ჩაითვლება ერთი უმაღლესი შეფასება.

1.4	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (პოსტერი) (გთხოვთ მიუთითეთ კონფერენციისა და სტატიის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ სტატიას)	15 ქულა	
1.5	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) (გთხოვთ მიუთითეთ კონფერენციისა და სტატიის/შრომათა კრებულის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ სტატიას)	20 ქულა	
1.6	ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (პოსტერი) (გთხოვთ მიუთითეთ კონფერენციისა და სტატიის/შრომათა კრებულის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ სტატიას)	5 ქულა	
1.7	საერთაშორისო ვორქშოფების, სემინარების, ტრენინგების ჩატარება (გთხოვთ მიუთითეთ სემინარების, ვორქშოფების, ტრენინგების დასახელება, ადგილი, თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განსხვავებულ აქტივობას)	20 ქულა	
1.8	დაფინანსებული საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა (გთხოვთ მიუთითეთ პროექტის დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განსხვავებულ პროექტს)	35 ქულა	
1.9	დაფინანსებულ საგრანტო პროექტში მონაწილეობა (ძირითადი პერსონალი) (გთხოვთ მიუთითეთ პროექტის დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განსხვავებულ პროექტს)	20 ქულა	
1.10	საგრანტო კონკურსში მონაწილეობა[2] (გთხოვთ მიუთითეთ პროექტის დეტალები. კონკურსში მონაწილეობისას მიღებული შეფასება. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ განსხვავებულ პროექტს)	10 ქულა	
1.11	გამოგონება პატენტი (გთხოვთ მიუთითეთ დეტალები)	50 ქულა	

[2] პროექტის საბოლოო მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 40%-ის და მეტის დაგროვების შემთხვევაში.

1.12	მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს საზღვარგარეთ გამოშვება (გთხოვთ მიუთითეთ სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის სათაური, გამოცემის წელი და ა.შ., მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოცემულ მონოგრაფიას / სახელმძღვანელოს)	50 ქულა	
1.13	მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს გამოშვება (გთხოვთ მიუთითეთ სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის სათაური, გამოცემის წელი და ა.შ., მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოცემულ მონოგრაფიას / სახელმძღვანელოს)	40 ქულა	
1.14	ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრობა	40 ქულა	
1.15	ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა	20 ქულა	
1.16	წინამდებარე ცხრილის პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა (გთხოვთ მიუთითეთ ჟურნალის დასახელება, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ჟურნალის რედაქტორობას)	15 ქულა	
1.17	წინამდებარე ცხრილის პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა (გთხოვთ მიუთითეთ ჟურნალის დასახელება, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ჟურნალის რეცენზენტობას, სარედაქციო საბჭოს წევრობას)	10 ქულა	
1.18	სხვა სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა (გთხოვთ მიუთითეთ ჟურნალის დასახელება, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ჟურნალის რედაქტორობას)	10 ქულა	
1.19	სხვა სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა (გთხოვთ მიუთითეთ ჟურნალის დასახელება, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ჟურნალის რეცენზენტობას, სარედაქციო საბჭოს წევრობას)	5 ქულა	

1.20	სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება (გთხოვთ მიუთითეთ სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის დასახელება, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ სახელმძღვანელოს / მონოგრაფიის რეცენზირებას)	15 ქულა	
1.21	სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება (გთხოვთ მიუთითეთ ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული განსხვავებული ნაშრომის რეცენზირებას)	4 ქულა	
1.22	საზღვარგარეთ ჩატარებული სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა (გთხოვთ მიუთითეთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი, სტუდენტის სახელი და გვარი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობას)	10 ქულა	
1.23	ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა (გთხოვთ მიუთითეთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი, სტუდენტის სახელი და გვარი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობას)	5 ქულა	
24	სტუდენტების მომზადება იმიტირებული / სიმულაციური პროექტებისთვის (გთხოვთ მიუთითეთ პროექტის დასახელება, სტუდენტ(ებ)ის სახელი და გვარი, სხვა დეტალები, მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ პროექტს)	10 ქულა	
1.25	სხვა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ან პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობა (გთხოვთ დაასახელეთ საქმიანობის / აქტივობის	ქულა გინისაზღვრება სპეციალური კომისიის მიერ[3]	
2	სამეცნიერო-კვლევითი შრომების პროდუქტიულობა	წონა 60%	
2.1	ციტირების რაოდენობა;	2	

[3] ქულას განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამცნიერო-კვლევითი ან პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობის დადასტურების მიზნით შექმნილი კომისია. კომისიის შემქნის, მისი მუშაობის ადმინისტრირებისა და შედეგების სამართლებრივად გაფორმების პროცესს კოორდინაციას უწევს სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტი.

2.2	ციტირება (google scholar) (g)	3	
2.3	ციტირება (web of science) (g)	5	
2.4	ციტირება (Scopus) (g)	5	
2.5	ციტირება (google scholar) (h)	4	
2.6	ციტირება (web of science) (h)	10	
2.7	ციტირება (Scopus) (h)	10	

3.10 აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პოტენციალი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\boldsymbol{Q}_{\mathrm{i}} = \boldsymbol{W}_{\mathrm{j}} \sum \boldsymbol{q}_{\mathrm{j}}$$

სადაც:

$\boldsymbol{Q}_{\mathrm{i}}$ – არის i აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის საერთო შეფასება

$\boldsymbol{W}_{\mathrm{j}}$ – j ინდიკატორი

$\boldsymbol{q}_{\mathrm{j}}$ – j სამეცნიერო- კვლევითი აქტივობა

მაგალითად: *აკადემიური პერსონალი არის 2 ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელი; გამოქვეყნებული აქვს 1 სტატია მაღალ რეიტინგულ ჟურნალში იმპაქტ-ფაქტორის მაჩვენებლებით. და მიღებული აქვს 2 h ციტირება (google scholar). შესაბამისად: (2*5+1*50)*0,4))+(2*4)*0,6))=24+12,8=36,8% ≈ 37%*

ზემოაღნიშნული მაგალითების მიხედვით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა შეფასდება 37% პროცენტით ანუ D დონით (დამაკმაყოფილებელი). აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების დიაპაზონი მოცემულია ცხრილში:

ცხრილი N2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება

შეფასება ქულით	შეფასება		
(100 <)	A	5	საუკეთესო
(71-100)	B	4	კარგი
(51-70)	C	3	საშუალო
(31-50)	D	2	დამაკმაყოფილებელი
(<30)	E	1	ცუდი

მუხლი 4. პერსონალის აკადემიური (სასწავლო) საქმიანობის შეფასება

4.1 აკადემიური საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს პერსონალის შეფასებასა და მისი შედეგების ანალიზსა და მასზე დაფუძნებით რეაგირების მექანიზმებს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

4.2 შეფასება ხდება ყოველი აკადემიური სემესტრის ბოლოს და დაფუძნებულია რაოდენობრივ ინდიკატორებზე.

4.3 აკადემიური საქმიანობის შეფასება მოიცავს პერსონალის შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ, შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

4.3.1 პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;

4.3.2 პერსონალის შეფასება ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;

4.3.3 პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით.

4.3.4 პერსონალის აკადემიური საქმიანობა ფასდება 5 ბალიანი სისტემით, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი, ხოლო 5 უმაღლესი შეფასება. იხ. ცხრილი N3.

ცხრილი N3

შეფასება ქულით	შეფასება	
5	A	საუკეთესო
4	B	კარგი
3	C	საშუალო

2	D	დამაკმაყოფილებელი
1	E	ცუდი

4.4 პერსონალის აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$APV = \sum W_i R_i$$

სადაც ***APV*** - არის პერსონალის აკადემიური აქტივობების სემესტრული შეფასება

W_i - გვიჩვენებს i-იური კომპონენტის წონას;

R_i - გვიჩვნებს i-ური კომპონენტის შეფასებას 1-დან 5-მდე.

მაგალითად: პერსონალმა სტუდენტის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით მიიღო საშუალო შეფასება 4; ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით მიიღო საშუალო შეფასება 3; პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით მიიღო საშუალო შეფასება 4;

პერსონალის აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასება იქნება APV= 3,85 = (0,7*4)+(0,15*3)+(0,15*4); (იხ. ცხრილი 4)

ცხრილი 4. აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასების ფორმა

	შეფასების კომპონენტები	წონა	შეფასება					საერთო წონა
			1	2	3	4	5	
1	პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით.	70				4		2.8
2	პერსონალის შეფასება ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	15			3			0,45
3	პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	15				4		0.6
	საერთო შეფასება APV	100						3.85

4.5 პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ელექტრონულ დამუშავებას და შედეგებს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პერსონალის აკადემიური

შეფასების შედეგების საბოლოო ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით.

4.6 პერსონალის აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასების შედეგები სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტს შემდგომი რეაგირებისთვის.

4.7 ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების დამუშაბების შედეგად, ამზადებს თითოეული პერსონალის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს და პერსონალურად უგზავნის პერსონალს გასაცნობად.

მუხლი 5. აკადემიური პერსონალის წლიური შეფასება

5.1 აკადემიური პერსონალის საბოლო წლიური შეფასება მოიცავს, როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ასევე აკადემიური საქმიანობის შეფასების აკადემიური წლის საბოლოი დაჯამებულ შედეგებს.

მაგალითად: *აკადემიური პერსონალი აკადემიურ საქმიანობაში შემოდგომის სემესტრში მაქსიმალური 5 ქულიდან დააგროვა 4 ქულა, ხოლო გაზაფხულის სემესტრში 5 ქულიდან 3 ქულა. მისი წლიური შედეგი დაითვლება შემდეგი პრინციპით: 4+3=7/2=3,5 ქულა (წლიური შედეგი). საბოლოო შედეგების დასაჯამებლად მას დაემატება სამეცნიერო საქმიანობის შეფასებიდან მიღებული ქულა. მაგალითად, მაქსიმუმი 5 ქულიდან 4 ქულა და პირობითად საბოლოო რეიტინგული ქულა იქნება 3,5+4=7, 5*

5.2 შეფასების ცალკეულ კომპონენტს, მნიშვნელობიდან გამომდინარე, ენიჭება შესაბამისი წონა. წონების განაწილება მოცემულია ცხრილი 5-ში.

ცხრილი N5. აკადემიური პერსონალის წლიური შეფასების ფორმა

	შეფასების კომპონენტები	წონა	შეფასება					**საერთო წონა**
			1	2	3	4	5	
1	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	40						
2	პერსონალის შეფასება ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	10						
3	პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	10						
4	პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით.	40						
	საერთო შეფასება APV	100						

5.3 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის საერთო შეფასება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$APV = \sum W_i R_i$$

სადაც ***APV*** - არის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური აქტივობების საერთო შეფასება

W_i - გვიჩვენებს i-იური კომპონენტის წონას;

R_i - გვიჩვნებს i-ური კომპონენტის შეფასებას 1-დან 5-მდე.

მაგალითად: აკადემიურმა პერსონალმა სამეცნიერო აქტივობაში დააგროვა 37 ქულა. აღნიშნული ქულით მიიღო შეფასება 2; ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით მიიღო საშუალო შეფასება 3; პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით მიიღო საშუალო შეფასება 4; სტუდენტის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით მიიღო საშუალო შეფასება 4;

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური აქტივობის საერთო შეფასება იქნება APV= 3,1 =(0,40*2)+(0,1*3)+(0,1*4)+(0,4*4); (იხ. ცხრილი 6)

ცხრილი N6

	შეფასების კომპონენტები	წონა	შეფასება					საერთო წონა
			1	2	3	4	5	
1	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	40		2				0,8
2	პერსონალის შეფასება ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	10			3			0.3
3	პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	10				4		0.4
4	პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით.	40				4		1.6
	საერთო შეფასება APV	100						3.1

მუხლი 6. შეფასების შედეგები და რეაგირების მექანიზმები

6.1 აკადემიური საქმიანობის სემესტრული (მოწვეული პერსონალის შემთხვევაში) და წლიური საერთო (აკადემიური პერსონალის შემთხვევაში) შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე პერსონალის საქმიანობა შეიძლება შეფასდეს როგორც

საუკეთესო, კარგი, დამაკმაყოფილებელი და დაბალი. შეფასების რანჟირება იხილეთ ცხრილი N7

ცხრილი N7

დაბალი	დამაკმაყოფილებელი	კარგი	საუკეთესო
1-1.99	2-2.99	3-3.99	4- 5

6.2 შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოახდინოს შემდეგი სახის რეაგირება:

6.2.1 შეფასება „დაბალის“ შემთხვევაში პერსონალს მისცეს შესაბამისი გაფრთხილება გამოსასწორებლად დადგენილი ვადის მითებით, ან გაათავისუფლოს აკადემიური თანამდებობიდან/შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება (მოწვეული პერსონალის შემთხვევაში)

6.2.2 შეფასება „დამაკმაყოფილებლის“ შემთხვევაში განუსაზღვროს შესაბამისი გაუმჯობესების გეგმა;

6.2.3 შეფასება „კარგის“ შემთხვევაში მისცეს რეკომენდაციები.

6.3 შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოახდინოს შეფასება „საუკეთესოს“ მქონე პერსონალის მატერიალური/არამატერიალური წახალისება. წახალისების წესი და მოცულობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 7. პერსონალის შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმები

7.1 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების შედეგების საბოლოო ანალიზს, რომელიც ეგზავნება ფაკულტეტებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტსა და სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტს.

7.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გამომწვევი მიზეზების კვლევისა და მათი გამოსწორებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

7.3 შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტთან კოორდინაციით წინამდებარე წესის მე-6 მუხლის 6.2 პუნქტის შესაბამისად ახდენს რეაგირებას.

7.4 რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

7.5 პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შესრულების მონიტორინგს უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე წესს ამტკიცებს, მასში ცვლილებები და დამატებები შეაქვს და ძალადაკარგულად აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე.

8.2 პერსონალის შეფასების მიზნით გამოყენებული კითხვარის ფორმები წარმოადგენს ამ წესის განუყოფელ ნაწილს.

დანართები:

- სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის/საგნის და ლექტორების შეფასების კითხვარის ფორმა- დანართი N1;
- ფაკულტეტის დეკანის მიერ პერსონალის შეფასების კითხვარი - დანართი N2;
- პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პერსონალის შეფასების კითხვარი - დანართი N3.